არაბული გაზაფხული - მიზეზები და შედეგები
(თუნისის და ეგვიპტის მაგალითზე)

თამარ თაბუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, პროფესორი, ისტორიის მეცნ. დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ თაბუაშვილი

თარიღი: 25.06.2021

აბსტრაქტი

ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2010 წლის ბოლოს დაწყებული რევოლუციური პროცესების შედეგად, რომელიც ცნობილია „არაბული გაზაფხულის“ სახელით. წინამდებარე ნაშრომი შეეხება თუნისსა და ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებს, რამდენადაც, ორივე შემთხვევაში, სხვა არაბული ქვეყნებისგან განსხვავებული თავისებურებები გამოიკვეთა.

კვლევა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, დაადგინოს ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რამაც რეგიონის ორ ქვეყანაში, თუნისსა და ეგვიპტეში, განაპირობა მასშტაბური საპროტესტო აქციების დაწყება და დასრულდა რეჟიმის ცვლილებით, მეორე მხრივ კი, ახსნას ის გარემოებები, რამაც თავდაპირველი მიზნის - დემოკრატიული ტრანსფორმაციისგან სრულიად განსხვავებული შედეგები გამოიწვია. ერთ შემთხვევაში ქვეყნის სათავეში მოვიდა ისლამისტური ძალა, მეორე შემთხვევაში კი - მოხდა სამხედრო გადატრიალება.

სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიის დახმარებით, კვლევაში დასტურდება ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც დემოკრატიული ტრანსფორმაციის მცდელობა განპირობებული იყო იდენტობის ცვლილებით, რაც, თავის მხრივ, გამოიწვია დასავლეთთან მჭიდრო კავშირებმა და თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურმა გამოყენებამ, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოების მობილიზაციას და სოციალური ნორმების მასშტაბურად გავრცელებას. სოციალური მოძრაობის თეორია კი ნათლად ხსნის რევოლუციის იმ განსაკუთრებულ მახასიათებლებს, რომელიც ორივე ქვეყანაში განსხვავებული შედეგების მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა.

მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს. წარმოდგენილია შემთხვევის შესწავლის მეთოდი (Case Study), დედუქციური მიდგომით კი დასტურდება კვლევის დასაწყისში წამოჭრილი ჰიპოთეზები, რაშიც, ასევე მნიშვნელოვან

როლს ასრულებს თუნისისა და ეგვიპტის შემთხვევების შედარებითი ანალიზის მეთოდი და ისტორიული კონტექსტის მიმოხილვა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, იკვეთება რეგიონის ამ ორ ქვეყანაში „არაბული გაზაფხულის“ გამომწვევი მიზეზები და შედეგები, რომელიც არ შეესაბამება რევოლუციის თავდაპირველ მიზნებს.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესების კვლევას, რაშიც თუნისისა და ეგვიპტის - ორი განსაკუთრებული შემთხვევის სიღრმისეული შესწავლა შესაბამის წვლილს შეიტანს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თუნისი, ეგვიპტე, არაბული გაზაფხული, სოციალური მოძრაობა, დემოკრატიული ტრანსფორმაცია, რევოლუცია, ავტორიტარული რეჟიმები.

Abstract

Significant changes took place in the Middle East and North Africa region as a result of the revolutionary processes known as the "Arab Spring", that began in late 2010. The paper examines the events in Tunisia and Egypt as different peculiarities were revealed among other Arab countries.

On the one hand, the study aims to identify the cause-and-effect links that led to large-scale protests in two countries of the region - Tunisia and Egypt which ended with regime change. On the other hand, the study explains the circumstances that led to completely different results. In the case of Tunisia, an Islamist force came to power in the country, as for Egypt, a military coup took place.

Through the theory of social constructivism, the study confirms the hypothesis: the attempt at democratic transition was caused by a change in identity, which in turn led to closer ties with the Western world and the active use of modern technology, that on the other hand, contributed to the mobilization of society and the widespread dissemination of social norms. As for the theory of social movement, it clearly explains the special features of the revolution which became an important precondition for different results in both countries.

The paper is based on a qualitative research method in terms of research methodology. The case study is presented in the paper. The deductive approach confirms the hypotheses raised at the beginning of the study, in which the method of comparative analysis of Tunisia- Egypt cases and the review of the historical context also plays a significant role.

Based on the results of the research, the causes and consequences of the "Arab Spring" in two countries of the region are revealed, which are not in line with the original goals of the revolution.

This paper will contribute to the study of the ongoing processes in the Middle East and North Africa region, in which an in-depth study of Tunisia and Egypt cases will make an appropriate contribution.

Keywords: Tunisia, Egypt, Arab Spring, Social Movement, Democratic Transition, Revolution, Authoritarian Regimes.

მადლობა

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა წარმოუდგენელი იქნებოდა ჩემი აკადემიური ხელმძღვანელის, პროფესორ გიორგი სანიკიძის მხარდაჭერის გარეშე, რისთვისაც მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო. მან მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია ნაშრომზე მუშაობის პროცესში, მომცა სასარგებლო რჩევები და რეკომენდაციები კვლევის ყველა ეტაპზე.

ასევე, მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ ლექტორს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემი პროფესიული ცოდნის გაღრმავებაში.